შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

# ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

## დამატებითი სესია

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

**ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.**

**ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.**

**გისურვებთ წარმატებას!**

# I. ქართული ენა

(2) **1.** მოსწავლემ დაწერა: *სახლში დაბრუნებულს ოჯახის წევრებმა მოულოდნელი სიურპრიზი დამახვედრეს.*

მიუთითეთ მას, რა ხარვეზი აქვს ამ წინადადებას.
განუმარტეთ მოსწავლეს, რატომ არის ეს ხარვეზი.

(2) **2.** მოსწავლემ დაწერა: *თავგზა-აბნეული ქალი უკან-უკან იხევდა და შველას ითხოვდა.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **3.** მოსწავლემ დაწერა: *ჩვენი მოსწავლეების უმრავლესობა ოლიმპიადის შემდეგ ტურში გადავიდნენ.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **4.** მოსწავლემ დაწერა: *მტრებისაგან შევიწროებულმა ბიზანტიის დედოფალმა დახმარება თხოვა მეფე დავით III-ს.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **5.** მოსწავლემ დაწერა: *ის, ვინც სიკვდილს ერთხელ დაამარცხებს, მტერი ვერაფერს დააკლებს.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **6.** მოსწავლემ დაწერა: *დარწმუნებული იყავი, რომ მაგ სიკეთეს ასმაგად გადაგიხდი, უთხრა უცნობმა ბიჭს.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(11) **7.** წაიკითხეთ ნაწყვეტი ოთარ ჭილაძის ინტერვიუდან:

ძალიან ხშირად მწერლის სიტყვა ან გაუგებარი რჩება, ან უგულებელყოფილი და, მე თუ მკითხავთ, სავსებით სამართლიანადაც – მწერალი ყველაზე ნაკლებად სწორედ თანამედროვეობას ეკუთვნის. რასაც ის დღეს აკეთებს (წერს, ამბობს), ხვალისთვისაა გამიზნული, ხვალ გაიგებენ, ხვალ გამოიღებს ნაყოფს და ეს იწვევს მწერლის „დუმილისა“ და „გვერდზე დგომის“ ილუზიას, რაც, სინამდვილეში, საზოგადოების გულუბრყვილობის ანდა მწერლობის წინააღმდეგ წარმოებული ფარული ბრძოლის თავისებური გამოხატულებაა და სხვა არაფერი... ასე რომ, მწერლის დუმილი სრულებითაც არ ნიშნავს ჩუმად ყოფნას. პირიქით, შეიძლება, დუმილით გაცილებით მეტს ამბობდეს, ვიდრე ლაპარაკით... ფუტკარი რომ ბზუის, თაფლს აკეთებს, როცა ჩუმადაა, – თაფლზე ფიქრობს. ასეა მწერალიც – ლაპარაკობს თუ დუმს, მისი საფიქრალი და სადარდებელი ამით არ იცვლება.

(2) **I.** ჩამოაყალიბეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

(3) **II.** იმსჯელეთ, რამდენად აქტუალურია ეს საკითხი დღეს.

(2) **III.** ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი ოთარ ჭილაძის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.

(3) **IV.** იმსჯელეთ, რომელი არგუმენტია თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ.

*გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომა, ან სტილისტიკური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.*

(12) **8.** გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

**I.** შეაფასეთ ნამუშევარი თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაწერეთ შესაბამისი ქულები. თქვენი შეფასება დაასაბუთეთ შემდეგნაირად: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყველა შეცდომა და ხარვეზი (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები). თითოეულ მათგანს მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება – ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს, პუნქტუაციურს, სინტაქსურსა თუ სტილისტიკურს.

**II.** ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

*გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომა, ან სტილისტიკური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.*

# შეფასების სქემა

| N | კრიტერიუმები | კრიტერიუმების განმარტება | ქულები |
|---|---|---|---|
| I | მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება) | ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით;<br>ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა;<br>გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, მაგალითებიც არაადეკვატურად არის მოხმობილი. | 2<br>1<br>0 |
| II | ლექსიკა და სტილი | ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერის სტილი გამართულია;<br>ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტიკური ხარვეზები;<br>გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ ნაწერის სტილი გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა. | 2<br>1<br>0 |
| III | ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია | ა) არ არის ამ ტიპის სამზე მეტი შეცდომა;<br>ბ) არ არის ამ ტიპის ექვსზე მეტი შეცდომა;<br>გ) ამ ტიპის შეცდომა ექვსზე მეტია. | 2<br>1<br>0 |

**მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:**

ჩვენი მომავალი კეთილდღეობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს საზოგადოება გონივრულად გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები და არ დააზიანოს გარემო.

ჩამოაყალიბეთ თქვენი თვალსაზრისი და არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ.

## მოსწავლის ნამუშევარი:

ჩვენი მომავალი კეთილდღეობა ნამდვილად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს საზოგადოება სულ უფროდაუფრო მზარდი ინტერესების დაკმაყოფილებას ისე, რომ არ დააზიანოს გარემო.

იმიტომ რომ გვქონდეს უწყვეტი ელექტროენერგია, ყველაზე გავრცელებული მეთოდია ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის თანმდევი უარყოფითი შედეგი, რაც შეიძლება ახლდეს ამ პროექტებს. ასეთ მაშტაბურ ჩარევას ბუნებრივ პროცესებში აუცილებლად მოყვება სათანადო არასასურველი მოვლენებიც, ეკოლოგიური ცვლილებებით დაწყებული, წყლის უზარმაზარი მასის უკონტროლობით დამთავრებული. აუცილებელია მოიძებნოს ოპტიმალური გამოსავალი ისე, რომ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნებიც დაკმაყოფილდეს და მოხდეს გარემოს შენარჩუნებაც. მაგალითად შესაძლებელია ამისთვის გამოვიყენოთ ქარის წისქვილები, რომელთა მუშაობას ნაკლები უარყოფითი შედეგი ექნება.

მნიშვნელოვანი პრობლემაა გარემოს დაბინძურება. სამწუხაროდ ადამიანთა უმრავლესობა ნაკლებ ყურადღებას იჩენენ ამ თვალსაზრისით. კიდევ უფრო დიდი პრობლემაა მანქანებისა და ფაბრიკა-ქარხნების გამონაბოლქვით ჰაერის დაბინძურება, ამ გარემოში კი ისევ ჩვენ გვიწევს ცხოვრება. ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ გარკვეული პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს მეტ-ნაკლებად სუფთა ეკოლოგიურ გარემოს არსებობას.

## II. ქართული ლიტერატურა

(1) **9. იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ სწავლების დროს რომელ მოსაზრებას გამოიყენებთ საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების იმდროინდელი პოლიტიკური ცხოვრების დასახასიათებლად?**

ა) ამიერკავკასიის ქვეყნები აქტიურად ეხმარებოდნენ ირანს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში და სანაცვლოდ სპარსეთის შაჰისაგან საკუთარი ქვეყნების დამოუკიდებლობის მყარ გარანტიას იღებდნენ.

ბ) ირანი ყოველმხრივ ცდილობდა ამიერკავკასიის ქვეყნების შესუსტებას, აქეზებდა თავის მომხრე დიდებულებს, რომლებიც სპარსეთის მხარდაჭერით ვახტანგ გორგასალს უპირისპირდებოდნენ.

გ) რომის იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფი ქართლის ფეოდალები აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ ირანის დამპყრობლურ პოლიტიკას და ვახტანგ გორგასლის მოკავშირეებად რჩებოდნენ.

დ) ქვემო ქართლის საპიტიახშო სათავეში ედგა სომხეთისა და ალბანეთის სახალხო მოძრაობას ირანელთა წინააღმდეგ და ამით ამიერკავკასიის ქვეყნებში სპარსელების გავლენას ასუსტებდა.

(1) **10. იოვანე საბანისძის თხზულების შესწავლისას მოსწავლე დაინტერესდა, თუ რა მიზანი ჰქონდა ქართლის ეპისკოპოს სამოელს, როცა იოვანეს აბოს მარტვილობის აღწერა სთხოვა.**

**რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისთვის პასუხის გასაცემად?**

ა) არაბი ჭაბუკის ქრისტიანობისათვის თავდადება დამპყრობელ არაბთა ავტორიტეტის შელახვასა და მათი უძლეველობის მითის დამსხვრევას ისახავდა მიზნად.

ბ) არაბი ჭაბუკის ქრისტიანობისათვის თავდადება დამპყრობელთა ზეწოლით რწმენაშერყეული ქართველების გონს მოსაყვანად და გამოსაფხიზლებლად იყო საჭირო.

გ) არაბი ჭაბუკის ქრისტიანობისათვის თავდადება იმის დასტური უნდა ყოფილიყო, რომ ჭეშმარიტ სარწმუნოებას მხოლოდ ქართველი ქრისტიანები არ ეწირებოდნენ.

დ) არაბი ჭაბუკის ქრისტიანობისათვის თავდადება პირადად ქართლის ეპისკოპოსისათვის იყო მნიშვნელოვანი, რადგან ის მფარველობდა ქართლში მყოფ აბოს.

(1) 11. **გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** *რით აიხსნება ის ფაქტი, რომ თავიდან „მარტოდ დაყუდების“ მსურველი გრიგოლი შემდეგ დიდი ეკლესია-მონასტრების მშენებლობის ორგანიზატორი გახდა?*

**რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისთვის პასუხის გასაცემად?**

ა) გრიგოლი ხუედიოს ბერთან დადებულ გარიგებას დაემორჩილა, რაც ხანძთის ტერიტორიის გადაცემის სანაცვლოდ ეკლესია-მონასტრების მშენებლობას ითვალისწინებდა.

ბ) გრიგოლმა ანგარიში გაუწია თავისი ძმობის წევრებს, რომელთაც ტაო-კლარჯეთში ჩასვლისთანავე გადაწყვიტეს, რომ იქ გრანდიოზული სამონასტრო მშენებლობა დაეწყოთ.

გ) ისეთი ნიჭისა და შესაძლებლობების კაცისათვის, როგორიც გრიგოლი იყო, განდეგილად ცხოვრება და მხოლოდ საკუთარი სულიერი სრულყოფისათვის ზრუნვა შეუძლებელი აღმოჩნდა.

დ) ტაო-კლარჯეთში მცხოვრებმა საერო პირებმა, რომლებსაც უდაბნოში ეკლესია-მონასტრების აგება სურდათ, გრიგოლს სთხოვეს, რომ მათ მიერ წამოწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა.

(1) **12. „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** *რატომ მიაჩნიათ თინათინსა და ავთანდილს, რომ პირველ ადგილზე პატრონისთვის გაწეული სამსახური უნდა იდგეს და შემდეგ – სიყვარული ?*

**რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისთვის პასუხის გასაცემად?**

ა) განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში, როცა ეს ნაწარმოები შეიქმნა, ვასალს მხოლოდ ზემდგომის ბრძანების შესრულება ევალებოდა, მისი პირადი გრძნობები და ზნეობრივი არჩევანი უმნიშვნელო იყო.

ბ) ავტორი ამ საკითხის ხაზგასმით საგმირო-სარაინდო თხზულებათა ავტორებს დაუპირისპირდა, რომლებიც თავიანთ პერსონაჟებს მხოლოდ სატრფოს ნების აღმსრულებლად წარმოაჩენდნენ.

გ) ფეოდალურ საზოგადოებაში ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელს თავისი ფუნქცია ჰქონდა. ავთანდილს, როგორც სპასპეტს, უპირველესად სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა ევალებოდა.

დ) შუა საუკუნეების ეპოქაში მნიშვნელოვანი ადამიანის ფიზიკური ძალისა და შეძლების დემონსტრირება იყო. სიყვარული, როგორც ემოციური ბუნების გამოხატულება, რაინდისათვის სისუსტედ მიიჩნეოდა.

(1) **13. სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ არის:**

ა) დღიურების წიგნი.

ბ) ეპისტოლეთა წიგნი.

გ) იგავ-არაკების კრებული.

დ) შეგონებათა კრებული.

(1) **14. გარდა ავტორის საკუთარი სახელისა, კიდევ რა უნდა განაპირობებდეს იმას, რომ დავით გურამიშვილმა თავის პოეტურ კრებულს „დავითიანი“ უწოდა?**

ა) ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებთან შთაგონებითი კავშირი.

ბ) ბიზანტიური სასულიერო მწერლობის გავლენით შექმნილი ლიტერატურული პრინციპები.

გ) ტრადიცია, რომელსაც ამკვიდრებს დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“.

დ) ქართულ ჰაგიოგრაფიასთან დაკავშირებული მხატვრულ-ესთეტიკური მემკვიდრეობა.

(1) **15. ვახტანგ კოტეტიშვილის თვალსაზრისით,** *„მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურა ქალებმა დაიწყეს“*. **იგი მათ საქართველოში** *„პატრიოტული რომანტიზმის“* **სათავეში აყენებს.**

ვის გულისხმობს ვახტანგ კოტეტიშვილი?

ა) ვ. კოტეტიშვილი გულისხმობს ავტორებს, რომლებიც პეტერბურგში მოღვაწეობდნენ და თეიმურაზ ბატონიშვილთან იყვნენ დაახლოებულნი.

ბ) ვ. კოტეტიშვილი გულისხმობს ავტორებს, რომელთა ლექსები იმ დროის ხელნაწერ კრებულებშია შეტანილი, თუმცა ავტორთა ვინაობა არ არის მითითებული.

გ) ვ. კოტეტიშვილის თვალსაზრისით, ქართული პატრიოტული რომანტიზმის სათავეში დგანან ერეკლე II-ის ასულები – მარიამ, ქეთევან და თეკლე ბატონიშვილები.

დ) ვ. კოტეტიშვილს მხედველობაში ჰყავს მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ბარბარე ჯორჯაძე და ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელი.

(1) **16. როგორ სიყვარულს განადიდებს ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა...“?**

ა) რომელიც ადამიანის გულში ღვთის შიშს აღძრავს.

ბ) რომელიც ადამიანს ხორციელ სიამოვნებას ანიჭებს.

გ) რომელიც მშვენიერ სულთა მარადიულ კავშირს ემყარება.

დ) რომელიც ტრფიალის ცვალებად გრძნობას ემონება.

(1) **17. ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ ფინალური ნაწილის სწავლების დროს სულხან-საბა ორბელიანის რომელ იგავს გაახსენებთ მოსწავლეებს, რომ უფრო მკაფიოდ დაანახვოთ ავტორის მიზანდასახულობა?**

ა) „გლახაკი და ქილა ერბო“.

ბ) „მეფე და მისი შვილი“.

გ) „მოტირალი და მოცინარი“.

დ) „ძაღლები და მგელი“.

(1) **18. ჩამოთვლილთაგან რომელ პრინციპს უკავშირდება აკაკი წერეთლის „პოეტის“ სწავლება?**

ა) მწერლობამ ადამიანის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესები უნდა ასახოს.

ბ) მწერლობამ მხატვრულ ნაწარმოებში რეალური ცხოვრების ილუზია უნდა შექმნას.

გ) მწერლობამ პიროვნების ინდივიდუალობის წარმოჩენა უმთავრეს თემად უნდა აქციოს.

დ) მწერლობამ საზოგადოების საჭირბოროტო საკითხები უნდა გამოიკვლიოს და აღწეროს.

(1) **19. ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ ფინალურ ნაწილში ვკითხულობთ:**

„ერთობა წყნარ-წყნარადა ჰქრებოდა და იმის სამაგიეროდ, ყველანი, თითქოს განსაკუთრებით ეხვეოდნენ თავ-თავიანთ საკუთარ სახვევში. დაივიწყეს ბევრი წარსული ჩვეულება, წარსული აზრები, ურომლისოდაც მაშინ ცხოვრების შეძლება არ ეგონათ“.

**ავტორის აზრით, რამ გამოიწვია ხევში ასეთი ცვლილებები?**

ა) აგრესიულ მეზობლებთან მოხევეების განუწყვეტელმა ომებმა.
ბ) ფეოდალური წესწყობილების გაქრობით გამოწვეულმა სოციალურმა ძვრებმა.
გ) ხევისთვის უცხო მმართველობისა და კანონების დამკვიდრებამ.
დ) გავლენიან წრეებს შორის ატეხილმა შუღლმა და დაუნდობელმა დაპირისპირებამ.

(1) **20. ვაჟა-ფშაველას პოემის „სტუმარ-მასპინძელი“ შესწავლისას მოსწავლემ დაიმოწმა ჯოყოლას მიერ მუსასთვის ნათქვამი სიტყვები:** *„როცა გასცდება ჩემს ოჯახს, / იქ მოეპყარით ავადა“* **და დასვა კითხვა:** *„რამდენად ღირსეულად იქცევა ჯოყოლა, როცა იგი, ერთი მხრივ, მზად არის თავი გაწიროს სტუმრისათვის და, მეორე მხრივ, სასიკვდილოდ გაიმეტოს იგი?“*

ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისთვის პასუხის გასაცემად?

ა) ჯოყოლა იცავს სტუმარმასპინძლობის ადათობრივ წესს, თუმცა სისხლის აღებაც ადათითაა განსაზღვრული და, იმავე ადათის მიხედვით, ისიც ვაჟკაცობასა და ღირსებასთანაა გაიგივებული.

ბ) ჯოყოლა სიცოცხლის რისკის ფასად ცდილობს სტუმრის გადარჩენას, რითაც ადათს იცავს, ხოლო მუსასთვის ნათქვამი სიტყვები მხოლოდ დროის მოსაგებად მოფიქრებული ხერხია, რათა ზვიადაური გადაარჩინოს.

გ) ჯოყოლასთვის მნიშვნელოვანია მის ოჯახში მოხვედრილი სტუმრის დაცვა საფრთხეებისაგან, რითაც იგი ერთ ადათს იცავს, თუმცა მზადაა, ოჯახის გარეთ მეორე ადათიც დაიცვას და მტერს თვითონვე გაუსწორდეს.

დ) ჯოყოლასთვის ყველა შემთხვევაში – შინ იქნება, თუ გარეთ – მთავარია ზვიადაურის სიცოცხლის დაცვა, ხოლო მუსასთვის ნათქვამი სიტყვები მხოლოდ წამიერი სისუსტის გამოვლენაა, რომელსაც მალევე შეინანებს.

(1) **21. ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების შესწავლისას მოსწავლე დაინტერესდა, თუ რა აკავშირებს მწერალს იმპრესიონიზმთან?**

ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისთვის პასუხის გასაცემად?

ა) ნიკო ლორთქიფანიძე ბოლო პერიოდის თხზულებებში მიზანმიმართულად იყენებდა ალუზიებს, რითაც აღწევდა თხრობის დინამიზმსა და ექსპრესიულობას.

ბ) ნიკო ლორთქიფანიძე თავის „მცირე პროზაში“ გადმოგვცემს ძლიერ ემოციებს, მყისიერ შთაბეჭდილებებსა და, ამასთანავე, მანერა თხრობისა არის ლაკონიური და ლაპიდარული.

გ) ნიკო ლორთქიფანიძის პროზა გამოირჩევა მონუმენტურობით, სტილი მწერლისა არის აკადემიური, ხოლო ეპოქის თავისებურებათა ასახვისას იგი ხშირად მიმართავს დეტალიზაციას.

დ) ნიკო ლორთქიფანიძის ისტორიული თემატიკის თხზულებებში პერსონაჟთა ქცევის მოტივაცია მაღალ-მხატვრული ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით არის გადმოცემული.

(1) **22. ვინ არის ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“ გამოქვეყნებული საპროგრამო წერილის („პირველთქმის“) ავტორი?**

ა) გრიგოლ რობაქიძე.
ბ) ვალერიან გაფრინდაშვილი.
გ) პაოლო იაშვილი.
დ) ტიციან ტაბიძე.

(1) **23. ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „იგი“ ვკითხულობთ:**

„იგიმ ბრტყელი ქვა აირჩია. ფრთხილად აიღო, რომ არ გადამტყდარიყო, ბელადთან მიიტანა და აჩვენა.

– ხომ ხედავს ბელადი ამ ქვას? იგის შეუძლია, რაც ბელადს სურს, ის გამოიყვანოს თავისი სხეულიდან და ამ ქვაზე დადოს...

ბელადს კეტი მომარჯვებული ეჭირა... ბოლოს თქვა:

– რაც თვითონ უნდა, ის გამოიყვანოს, – და კიდევ ერთი ნაბიჯით დაიხია უკან...

ნი გაჩნდა. ნი ლამაზი იყო. მაშინ იგიმ თვალი გაახილა, წვეტიანი ქვა რბილ ქვას დაადო და ნელა გაუსვა. ნი ქრებოდა სხეულში და ჩნდებოდა ქვაზე“.

**რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი?**

ა) იგიმ ამ მოქმედებით როგორმე სასჯელს თავი უნდა დააღწიოს.

ბ) იგიმ ბელადს თავისი აშკარა უპირატესობა უნდა დაუმტკიცოს.

გ) იგიში პირველყოფილი ადამიანისთვის უჩვეულო სიყვარულის გრძნობა იღვიძებს.

დ) იგიში პრეისტორიული ადამიანისთვის უჩვეულო შემოქმედებითი ნიჭი ჩნდება.

## III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (20 ქულა)

**ყურადღებით წაიკითხეთ ნიკო ლორთქიფანიძის „გულთამხილავის მსჯავრი“:**

ღმერთის წინაშე ორი ადამიანი წასდგა.

უცვლელი სახე უფალმა მათ მიაპყრო და გულთამხილავი თვალებით დააცქერდა.

– იცოდით ნება ჩემი?

– ვიცოდი, უფალო! წამიკითხავს „დაბადება“, შემისწავლია წმინდა სახარება, სამოციქულო, წმინდა მამათა ცხოვრება, ზეპირათ ვიცი საგალობელნი და ლოცვები, – მოახსენა ერთმა.

მეორე სდუმდა.

– შენ? - დაეკითხა მდუმარეს ღმერთი.

– არ ვიცი, არ წამიკითხავს.

– შეასრულეთ ნება ჩემი? – იკითხა კიდევ უფალმა.

– გზითა მართლითა ვიდოდი; საპყართ განვიკითხავდი; მიყვარდა ჩემი ძმა, ვითარცა ჩემი თავი; შენ მხოლოდ ერთსა თაყვანს გცემდი, – მიუგო პირველმა.

მეორე სდუმდა.

– შენ? – დაეკითხა მდუმარეს ღმერთი.

– არ მახსოვს, უფალო, და, მგონია, რომ არც ყოფილა ასეთი რამ.

– შეასრულე ათი მცნება? – განაგრძო უფალმა დაკითხვა, თუმცა ყოველივე იცოდა უზენაესმა.

– დიახ, უფალო! არც ერთი არ დამირღვევია! – მიუგო პირველმა.

მეორე სდუმდა.

– შენ?

– რა?

– მოგიკლავს ადამიანი?
– არა! ორფეხი ცხოველი, ადამიანს რომ უძახიან, ის კი.
– გითქვამს ტყუილი?
– ტყუილი არა! უხეშ სინამდვილეს რომ აფერადებდა და ლამაზ ოცნებათ ხდიდა, ისეთი კი... ბევრი.
– გიმრუშია?
– არა! სატრფოსთან ერთარსებათ კი გარდავქმნილვარ, და ერთმანეთის ცეცხლის ალში კი დავმწვარვართ.
– გიგმია ღმერთი?
– არა! ის ძალა კი, ადამიანს რომ უკუღმართ გზაზე დააყენებს, სიცოცხლეს გაუმწარებს, ის კი ხშირათ.
– თაყვანს სცემდი, ჩემს გარდა, სხვა ღმერთს?
– ერთ ღმერთს თაყვანს ვცემდი – ღმერთს სიყვარულისას, იმედისას, შვენიერებისას.
ყველა დუმდა.
– რა გსურთ ახლა? – დაარღვია ღმერთმა სიჩუმე.
– განსვენება ადგილსა ყვავილოვანსა! – საჩქაროთ უპასუხა პირველმა.
მეორე სდუმდა.
– შენ?
– ნუ მათქმევინებ! – გარისხდები, უფალო!
– მოგენიჭოს! – ბრძანა უფალმა და გულთამხილავის უცვლელმა, მკაცრმა სახემ ნისლი გადიყარა.
მდუმარე ადამიანის წინ გაჩნდა მომღიმარე, ვარდებით შემკული, ლამაზი ქალწული. მას ნეკტარით სავსე პატარა თასი ეჭირა ხელში. შორიდან კი ისმოდა ქნარის ხმა.
– მე რაღა, უფალო? – შეეკითხა პირველი ადამიანი ღმერთს.

– შენ ჯერ არ გიცხოვრია: შენ ჩემს არტახანში იყავ გაკრული. პირადათ შენ რისი მომქმედი ხარ, არ ვიცი, იქნებ ყოვლად ცუდი და საზიზღარი იყო და როგორ დაგაჯილდოვო?! წადი ისევ ქვეყნად.

**იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გადმოცემული.**

*გაითვალისწინეთ: ნაშრომი, რომელიც 100 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება!*